ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/221223/5

ქ. თბილისი **22 დეკემბერი, 2023 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ N 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „ბორჯომი ვოთერს“** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის, გიორგი ერაძის სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქინძმარაულის №5; ტელეფონის ნომერი: 595 42 08 80; ს/კ: 226146872, ს.ს "საქართველოს ბანკი", კოდი # BAGAGE22, ა/ა # GE43BG0000000354293700

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა გამოაცხადა სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, **სასმელი წყლის (CPV41110000 - სასმელი წყალი)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი (**NAT230023757**) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **266 679.60 (ორას სამოცდაექვსი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი ლარი და 60 თეთრი) ლარად**.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1, დანართი N2, (სატენდერო დოკუმეტაციის დანართი №1 - დანართი N2 ტექნიკური პირობები) შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1-ში.

3.2. ხელშეკრულების პერიოდში შემსყიდველისთვის დროებით მიწოდებული დისპენსერები და ბიდონები იქნება მიმწოდებლის საკუთრება და ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ გონივრულ ვადაში (მხარეთა შეთანხმებით) ხსენებული ინვენტარი დაუბრუნდება მიმწოდებელს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1.საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ემსყიდველის მოთხოვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ობიექტებზე, რომელთა სრული ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ში, გარდა პირველი თვისა, რომლის შემთხვევაშიც სასმელი წყლისა და წყლის დისპანსერების მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში მიმწოდებლის მიერ მიწოდებული და ობიექტების მიხედვით განაწილებული უნდა იქნას 345 ერთეული წყლის დისპანსერი.

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დანართი N2-ით განსაზღვრულ მისამართებზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.5 შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ჯამური ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები იქნება შეუსრულებელი ან არ იქნება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული და აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე განმეორდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე არაერთგზის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. არაერთგზის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად განიხილება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე გამოვლენილი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის განმეორება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

15.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

15.2. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი სს „თიბისი ბანკი“-ს მიმდინარე წლის 19 დეკემბრის საბანკო გარანტია N 1147566-12976407, გაცემული 13 334.00 (ცამეტი ათას სამას ოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარის უზრუნველსაყოფად.
15.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.
15.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია მინიმუმ 60 კალენდარული დღით აღემატება საქონლის მიწოდების ვადას.
15.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.
15.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**მიმწოდებელი** **შპს „ბორჯომი ვოთერს“**
_____	_____
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	გიორგი ერაძე დირექტორი
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.12.22 18:10:07 +04'00'	George Eradze 01024018223 Digitally signed by George Eradze Date: 2023.12.22 16:59:40

ფასების ცხრილი - დანართი N1

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ფასი	საგარანტიო ვადა/პირობა
1	**ნატურალური მინერალური წყალი "ბაკურიანი"** სასმელი წყალი (წყლის დისპანსერზე დასადგმელი არანაკლებ 19 ლიტრიანი პოლიკარბონატის ჭურჭლით)	შემოთავაზებული სასმელი წყალი არის ჰიდროკარბონატული-კალციუმიანი ტიპის და არაგაზირებული, 19 ლიტრიანი პოლიკარბონატის ჭურჭლით, რომელიც განკუთვნილია წყლის დისპანსერებისათვის. თითოეულ მოწოდებულ წყლის ჭურჭელზე მითითებული იქნება ძირითადი იონების და მინერალიზაცის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი მარკირებით. აღნიშნული იქნება შემადგენლობა, დამზადების და ვარგისიანობის ვადები, ჩამომსხმელი ქვეყანა და მწარმოებელი. წყლის ბიდონების მიწოდების პარალელურად მიმწოდებლის მიერ უზრუნველყოფილი იქნება 345 ერთეული წყლის დისპანსერის მიწოდება, რომლის გადაცემაც განხორციელდება უსასყიდლოდ, დროებითი სარგებლობის ფორმით ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე. წლის მანძილზე მიმწოდებლის მიერ საერთო ჯამში მოწოდებული იქნება 27240 ერთეული სასმელი წყლის ბიდონი. მწარმოებელი: აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი, წარმოშობის ქვეყანა: საქართველო	**27,240**	**9.79**	**266679.60**	შენახვის ვადა ჩამოსხმის თარიღიდან იქნება მინიმუმ სამი თვე, ხოლო მოწოდების პერიოდისათვის წყლის შენახვის ვადა იქნება მინიმუმ 2 თვე. ყოველი მიწოდებისას წყალი იქნება ახალი ჩამოსხმული, რაც დადასტურდება წყლის ჭურჭელზე შესაბამისი აღნიშვნით (მითითებული იქნება ჩამოსხმის დღე, თვე, რიცხვი).

შენიშვნა: საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, არაუადრეს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ობიექტებზე, რომელთა სრული ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ში, გარდა პირველი თვისა, რომლის შემთხვევაშიც სასმელი წყლისა და წყლის დისპანსერების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

შპს "ბორჯომი ვოთერსის" დირექტორი
გიორგი ერაძე

N	სამსახურის სტრუქტურული ერთეულის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის მდებარეობა (მიწოდების ადგილი)	წყლის დისპანსერის რაოდენობა
1	შემოსავლების სამსახურის ოფისი(ელ.გეზი)	ქ. თბილისი. კოსტავას ქ.N68/ჩიქოვანის ქ.N2	6
2	თბილისის სერვის ცენტრი	ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ.N1	3
3	დიღუბე - ჩუღურეთი სატელეფონო საინფორმაციო ცენტრი	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ქ.N141	4
4	მარნეულის სერვის-ცენტრი	ქ.მარნეული რუსთაველის ქ.N73	1
5	თელავის სერვის ცენტრი	ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.N41	3
6	ლაგოდეხის სერვის ცენტრი	ლაგოდეხი, ქიზიყის ქ.N25	1
7	საგარეჯოს სერვის ცენტრი	საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.N2ა	1
8	საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ქვემო ქართლის განყოფილება	ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. N36	2
9	ხაშურის სერვის - ცენტრი	ქ.ხაშური კოსტავას ქ.7	1
10	რუსთავის სერვის ცენტრი	ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. N36	3
11	მცხეთის სერვის-ცენტრი	ქ.მცხეთა მუხრანის ქ.17ა	2
12	ქუთაისის სერვის ცენტრი	ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის N5	3
13	გორის სერვის ცენტრი	ქ. გორი, სამეფოს ქ. N50	2
14	აუდიტის დეპარტამენტი	ქ. თბილისი, გულუას ქ.N4	2
15	საარქივო სამმართველო	ქ. თბილისი, დიდი ლილოს დასახლება	4
16	ბათუმის სერვის ცენტრი	ქ.ბათუმი ფიროსმანის N5ა	12
17	ახალციხის სერვის ცენტრი	ქ. ახალციხე, ვ. ნათენაძის ქ. N54	10
18	ბორჯომის სერვის ცენტრი	ქ. ბორჯომი, მესხეთის N5	1
19	ახალქალაქის სერვის ცენტრი	ახალქალაქი, თავისუფლების N93	1
20	ფოთის სერვის ცენტრი	ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. N4	5
21	ოზურგეთის სერვის ცენტრი	ქ. ოზურგეთი, ი. შემოქმედელის N3	3
22	შემოსავლების სამსახურის ცენტრალური ოფისი	ქ. თბილისი, გორგასლის ქ.N16	5
23	გეზ "თბილისი"	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ	24
24	გეზ "თბილისი 2"	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ	11
25	გეზ "აეროპორტი"	ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია	7
26	გეზ "ბათუმი"	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ.	13
27	გეზ "ფოთი"	ქ. ფოთი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №32	14
28	სგპ ,,სადახლო-საავტომობილო"ფიტოვეტის შენობა	მარნეულის რაიონი, სოფელი სადახლო	2
29	სადახლო სკანერის შენობა	მარნეულის რაიონი, სოფელი სადახლო	1
30	სგპ ,,სადახლო-საავტომობილო"	მარნეულის რაიონი, სოფელი სადახლო	12
31	სგპ ,,ახკერპი"	მარნეულის რაიონი სოფელი ახკერპი	2
32	სგპ ,,სადახლო-რკინიგზა"	მარნეულის რაიონი სოფელი სადახლო	2
33	სგპ ,,სამთაწყარო"	დედოფლისწყაროს რაიონი სოფელი სამთაწყარო	1
34	სგპ ,,გარდაბანი"	გარდაბნის რკინიგზის სადგური	10
35	სგპ ,,მტკვარი"	გარდაბნის რაიონი სოფელი ვახტანგისი	3
36	სგპ ,,გუგუთი"	დმანისის რაიონო სოფელი გუგუთი	7
37	ს.გ.პ ,,ლაგოდეხი"	ლაგოდეხი,რაიონი სოფელი მაწიმი	15
38	სგპ „ყაზბეგი"	ყაზბეგი რაიონი დარიალის ხეობა	15
39	სგპ ,,ვალე"	ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორია	7
40	სგპ „ნინოწმინდა"	ქ. ნინოწმინდა სოფელი ჟდანოვი	10
41	სგპ ,,წითელი ხიდი" ფიტოვეტის შენობა	მარნეულის რაიონი, სოფ. ქერაჩ მუღანლო	3
42	სგპ ,,წითელი ხიდი"	მარნეულის რაიონი, სოფ. ქერაჩ მუღანლო	15
43	ს.გ.პ ,,თბილისის აეროპორტი"	კახეთის გზატკეცილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	3
44	სგპ ,,სარფი"	ხელვაჩაურის რაიონო სოფ. სარფი	28
45	სგპ ,,ბათუმის პორტი"	ბათუმი, გოგებაშვილის 11	4
46	სგპ ,,ბათუმის აეროპორტი"	ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი	3
47	დავების დეპარტამენტი	ქ.თბილისი,გორგასლის N10	4
48	საბაჟო დეპარტამენტი	ორხევი აზზიანიძის N4	8
49	კინოლოგია	ორხევი აზზიანიძის N4	1
50	შემოსავლების სამსახურის ოფისი	ქ.თბილისი ალექსიძის N1	1
51	ცენტრალური საწყობი	აბზიანიძის N4	1
52	სგპ ,,ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა"	ქ. ფოთი, აღმაშენებლის 54	12
53	ს.გ.პ. კარწახი-საავტომობილო	ახალქალაქის რაიონი სოფ კარწახი	8
54	სგპ ,,კარწახი-რკინიგზა"	ახალქალაქის რაიონი სოფ კარწახი	4
55	ქუთაისის აეროპორტი	სოფელი ჯიჰაიში	3
56	სგპ ,, ქუთაისის და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსრიული ზონა"	ქუთაისი ავტომშენებლის N89	2
57	ქიათურის წარმომადგენლობის შენობა	ქ.ქიათურა ნინოშვილის ქ.N 5ა	1
58	სგპ ,, ქუთაისის და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსრიული ზონა და	ქუთაისი ავტომშენებლის N88	3
59	სამტრედიის სერვის ცენრი	ქ.სამტრედი რუსთაველის N28	1
60	ზესტაფონის სერვის ცენტრი	ქ.ზესტაფონი წერეთლის N5	1
61	ქობულეთის სერვის ცენტრი	ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქ. N136	1
62	გეზი ბათუმი	ქ.ბათუმი,ბაქოს N11	1
63	დედოფლის წყაროს სერვის ცენტრი	დედოფლის წყარო კოსტავას ქ. N44	1
64	ფოთის სერვის ცენტრის წარმომადგენლობა სენაკში	ქ.სენაკი რუსთაველის ქუჩა N235	1
65	სატრანსპორტო ტექნიკურ -განყოფილებათა განყოფილება	ქ.თბილისი გორგასლის ქ.10	2
66	ზუგდიდის სერვის-ცენტრი	ქ.ზუგდიდი გამარჯვების ქ.1	2
		სულ:	**345**